

## თბილისი

№ 599/03

18 ოქტომბერი 2013წ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის №818 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ:

I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნან შემდეგი მოქალაქეები:

1. სალმა შერიფ აჰმედ კამელ- ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა;
2. მერიამ რამეზ ნაბილ რამზი ჰანნა- ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა;
3. ლადა ჯამალ აბდულ ლაფურ ალ-რაფი- ერაყის რესპუბლიკა;
4. ასია მოჰამედ კადჰიმ ალკროე- ერაყის რესპუბლიკა;
5. ფარა მოჰამედ ჰადი ჰადი- ერაყის რესპუბლიკა;
6. რეჰამ აბდულკარემ ტალაკ ტალაკ- ერაყის რესპუბლიკა.

II. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნას ერაყის რესპუბლიკის მოქალაქე- სამარ ფარის ჯამილ ჯამილ.

III. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნან შემდეგი მოქალაქეები:

1. მეთეპან სანჯაქთარ- თურქეთის რესპუბლიკა;
2. ბურჩინ იავეუზ ქაიმაქ- თურქეთის რესპუბლიკა.

IV. ამ ბრძანების პირველი, მეორე და მესამე პუნქტებით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2013 წლის 1 ნოემბრამდე.

V. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

VI. ბრძანება ეგზავნება რექტორის მოადგილეს რ. ბერიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს გ. გიორგობიანს, ფარმაციის ფაკულტეტის დეკანს დ. ბერაშვილს, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანს კ. ჭელიძეს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს ი. ავალიანს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

VII. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

**რექტორი**